საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომის ოქმი N3

ქ. თბილისი 11--სექტემბერი 2013 წ.

შესყიდვის საგანი: ქ.თბილისში, კრწანისში არსებულ 47002,0 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.18.13.049.005) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა კონკურსის **(N910; 23.08.2013წ)** საშუალებით.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

-მერაბ მენაბდე	მინისტრის მოადგილე
-კობა ხუბუნაია	საფინანსო დეპარტამენტის უფროსი
- მურად აბლოთია	დევნილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
-ზაზა იმედაშვილი	მიგრაციის, რეპატრიაციისა და ლტოლვილთა საკითხების დეპარტამენტის უფროსი
- კახაბერ პეტრიაშვილი	იურიდიული დეპარტამენტის უფროსი
-კახაბერ ჩხარტიშვილი	ადმინისტრაციული დეპარტამენტის უფროსი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

- გია ნაჭყებია	ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსი
- დავით ლოლაძე	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსის მოადგილე
- მაიკო მიქაია	სახელმწიფო შესყიდვების სამმართველოს უფროსი სპეციალისტი

შვებულებაში ყოფნის გამო, სატენდერო (საკონკურსო) კომისიის სხდომას არ ესწრებოდა სატენდერო (საკონკურსო) კომისიის თავჯდომარე - გოგი ფაცაცია.

დღის წესრიგი:

1. ქ.თბილისში, კრწანისში არსებულ 47002,0 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.18.13.049.005) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე ჩატარებული ელექტრონული „კონკურსის" **(N910; 23.08.2013წ)** შედეგების განხილვა.

2. კონკურსში **(N910; 23.08.2013წ)** მონაწილე კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადების შერჩევა-შეფასება და გამარჯვებულის გამოვლენა.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ მოისმინა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრმა მაიკო მიქაიამ სატენდერო (საკონკურსო) კომისიას გააცნო ინფორმაცია ზემოაღნიშნულ შესყიდვაზე გამოცხადებული ელექტრონული კონკურსის შედეგების შესახებ, რომლის თანახმად ელექტრონულ კონკურსში **(N910; 23.08.2013წ)** თავისი საკონკურსო წინადადება წარმოადგინა და მონაწილეობდა 1 (ერთი) კონკურსანტი:

1. **შპს „Georgianhause";**

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის გადაწყვეტილებით კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება განსახილველად გადაეცა სამინისტროს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს, კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი სრული დაგეგმარების არქიტექტურული კონცეფციის საკონკურსო განცხადებაში გათვალისწინებულ პირობებთან შესაბამისობის დასადგენად. **(ოქმი N2, 05.09.2013წ)**

კონკურსანტის მიერ წარმოდგენლი საკონკურსო წინადადებების ღირებულებება შეადგენს **179 000.00 (ას სამოცდაცხრამეტი ათასი ლარი)** ლარს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა:

სატენდერო (საკონკურსო) კომისის წევრებმა განიხილეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო დოკუმენტაცია, რის შემდეგაც, **შპს „Georgianhause"**-ის მიერ წარმოდგენილ არქიტექტურული დაგეგმარების კონცეფციაზე მოხსენება გააკეთა სამინისტოს ტექნიკური ზედამხედველობის სამმართველოს უფროსმა გია ნაჭყებიამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ქ.თბილისში, კრწანისში არსებულ 47002,0 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.18.13.049.005) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-

მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამოცხადებულ ელექტრონულ კონკურსში მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ერთმა კონკურსანტმა. აქედან გამომდინარე, ჩვენს მიერ განხილულ იქნა მხოლოდ **შპს „Georgianhause"-ის** საკონკურსო წინადადება, რომელიც ძირითადში შეესაბამება საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ მოთხოვნებს.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრებმა განიხილეს შპს„Georgianhause"-ის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება, შემოთავაზებული ფასისა და არქიტექტურული კონცეფციის გათვალისწინებით და ერთხმად მოიწონეს კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება.

საკონკურსო კომისიამ გადაწყვიტა:

1. **შპს „Georgianhause"-ის** მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადება შეესაბამება საკონკურსო განცხადებითა და საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრულ მოთხოვნებს;
2. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილებით ელექტრონულ კონკურსში **(N910; 23.08.2013წ)** გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „Georgianhause"-ის** საკონკურსო წინადადება.
2. საკონკურსო კომისიის აპარატს დაევალა:
2.1. კონკურსანტისთვის კომისიის გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი შეტყობინების გაგზავნა.
2.2. **შპს „Georgianhause"- თან** სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების და კანონმდებლობით დადგენილი სხვა შესაბამისი დოკუმენტაციის გაფორმდება.

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის წევრები:

მერაბ მენაბდე

კრბა ხუბუნაია

ზაზა იმედაშვილი

მურად აბლოთია

კახაბერ პეტრიაშვილი

კახაბერ ჩხარტიშვილი

სატენდერო (საკონკურსო) კომისიის აპარატის წევრები:

გია ნაჭყებია

დავით ლოლაძე

მაიკო მიქაია

საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან
იძულებით გადაადგილებულ პირთა,
განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო

MINISTRY OF INTERNALLY DISPLACED PERSONS
FROM THE OCCUPIED TERRITORIES,
ACCOMMODATION AND REFUGEES OF GEORGIA

0177, ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. 15ª
15ª, Tamarashvili str., 0177, Tbilisi, Georgia

ტელ./Tel.: (995 32) 31-15-85
ცხელი ხაზი/Hotline: (995 32) 43-11-00
ფაქსი/Fax: (995 32) 31-15-96

www.mra.gov.ge

N 01/02-10/45267
11/09/2013

45267-01/02-10-2-201309111321

შპს "GeorgianHause" დირექტორს

ბატონ თორნიკე დვალს

ბატონო თორნიკე,

გაცნობებთ, რომ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროს სატენდერო (საკონკურსო) კომისიამ განიხილა 2013 წლის 23 აგვისტოს კონკურენციისა და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ვებგვერდზე გამოცხადებული ელექტრონული „კონკურსის" **(N910; 23.08.2013წ)** შედეგები და ქ.თბილისში, კრწანისში არსებულ 47002,0 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთში (საკადასტრო კოდი N01.18.13.049.005) დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საჭირო განაშენიანების დეტალური საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენა-მიწოდების მომსახურების სახელმწიფო შესყიდვაზე გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს "GeorgianHause"**-ის საკონკურსო წინადადება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე გთხოვთ, 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში მობრძანდეთ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში (ქ. თბილისი, თამარაშვილის ქ. N15ა) შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულების გასაფორმებლად.

პატივისცემით

დავით დარახველიძე

მინისტრი

ხელმძღვანელობა